მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს შპს მართვისა და კომუნიკაციის სასწავლო უნივერსიტეტის - „ალტერბრიჯი“ წესრიგის დაცვისა და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესს და პროცედურას.

1.2. ამ დოკუმენტით გათვალისწინებული წესების განხორციელებაზე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ადმინისტრაცია.
კერძოდ, პირველადი სამედიცინო მომსახურების კუთხით - მედ.ცენტრი, უსაფრთხოების და წესრიგის დაცვის კუთხით კი - უსაფრთხოების სამსახური.
აღნიშნულის შესრულების დროს ეს სამსახურები ხელმძღვანელობენ საქართველოს კანონმდებლობით, შიდა საუნივერსიტეტო აქტებით და წინამდებარე წესით.

1.3. უსაფრთხოების სამსახური ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს:

1.3.1. იცავს საზოგადოებრივი წესრიგისა და სახანძრო უსაფრთხოების წესებს;

1.3.2. უზრუნველყოფს უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების უსაფრთხოებას;

1.3.3. ახორციელებს პერსონალის/სტუდენტების და სხვა ვიზიტორთა უნივერსიტეტის ტერიტორიაზე/შენობაში შემოსვლისა და გასვლის კონტროლს;

1.3.4. უზრუნველყოფს აუცილებელ ღონისძიებებს უნივერსიტეტის ქონების დასაცავად. საჭიროების შემთხვევაში კი მიმართავს სამართალდამცავ ორგანოებს;

1.3.5. ხანძრის ან სხვა საგანგებო სიტუაციების და გადაუდებელი შემთხვევების დროს, მონაწილეობს უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მყოფთა ევაკუაციის პროცესში, რომლის გეგმაც გამოკრულია უნივესიტეტის შენობის ყოველ სართულზე თვალსაჩინო ადგილას.

1.4. მედცენტრი ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

1.4.1. საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტებისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. საჭიროების შემთხვევაში სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება;

1.4.2. განსაზღვრავს რესურსებს სამედიცინო დახმარების საჭიროებისთვის;

1.4.3. აკონტროლებს ეპიდემიოლოგიურ უსაფრთხოებას უნივერსიტეტში;

1.4.4. ზრუნავს უნივერსიტეტის სამედიცინო მომსახურების ხარისხზე.

მუხლი 2. წესრიგის დაცვის მექანიზმები

2.1. უსაფრთხოების სამსახური ვალდებულია მუდმივად აკონტროლოს უნივერსიტეტში არსებული უსაფრთხოების სისტემები (სამეთვალყურეო კამერები, ტურნიკეტები, დაშვების სისტემები და ა.შ.). წესრიგის დარღვევის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აღმოფხვრას იგი.

2.2. თვალყური ადევნოს, რომ სტუდენტები და პერსონალი დადგენილი წესის დაცვით იყენებს უნივერსიტეტში დამონტაჟებულ ტურნიკეტს და სხვა დაშვების სისტემას.

2.3. შესვლა დაშვებულია ბარათების გამოყენებით. ბარათის არქონის შემთხვევაში შესვლა დასაშვებია უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლის ნებართვით.

2.4. სტუდენტები ვალდებულნი არიან იქონიონ სტუდენტური ბარათი ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ყოფნის დროს, მოთხოვნის შემთხვავეში წარუდგინოს უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელს.

2.5. ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. გეგმა გამოკრულია თვალსაჩინო ადგილებზე. უნივერსიტეტი აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით. საგანგებო ვითარების დროს უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები ვალდებულნი არიან გამოიძახონ შესაბამისი სამსახურები (112 - სახანძრო, სასწრაფო დახმარების სამსახური და ა.შ.). უზრუნველყონ შენობაში მყოფთა მიერ შენობის უსაფრთხოდ დატოვება.

მუხლი 3. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

3.1. უნივერსიტეტის შენობაში არის სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარითა და პირველადი დახმარების მედიკამენტებით.

3.2. უნივერსიტეტში მომუშავე სამედიცინო პერსონალი, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს ისეთ პირველადი დახმარების აღმოჩენას, როგორიცაა წნევის გაზომვა, ტემპერატურის გაზომვა, ჭრილობის გადახვევა, უნივერსიტეტში მყოფი ავადმყოფისთვის ტკივილგამაყუჩებელი ან სხვა ისეთი პრეპარატის მიწოდებას, რომელიც აფთიაქებში ურეცეპტოდ არის ხელმისაწვდომი.

3.3. სამედიცინო კაბინეტში მიმდინარეობს პაციენტების მიღების ყოველდღიური ჟურნალის წარმოება. წარმოებს მედიკამენტების შემოტანის ჟურნალი, კეთდება მედიკამენტების ვადებზე მუდმივი კონტროლი. მედიკამენტების ვადის გასვლის შემთხვევაში ხდება მათი ჩამოწერა.